

კავთარია მათარია

მედიკი და

პოლიტიკური

კავთარია

გენდერული კომენტების ანალიზი
საქართველოს პოლიტიკური პარტიების
საქმიანობასა და პროგრამულ დოკუმენტებში



კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია

ეკატერინე გამახარია

შენდები და აოციტიკური პარტიები

გენდერული კომპონენტების ანალიზი
საქართველოს პოლიტიკური პარტიების
პროგრამულ დოკუმენტებსა და საქმიანობაში

პროექტი განხორციელდა საერთაშორისო
არასამთავრობო ორგანიზაცია
International Alert-ის მხარდაჭერით

ქუთაისი
2010

შინაგვსი

- ნაწილი 1.
- 4 ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში არსებული გენდერული სიტუაციის ზოგადი დახასიათება
- ნაწილი 2.
- 10 კვლევის მიზნები და ამოცანები, განხორციელების მეთოდოლოგია
- ნაწილი 3.
- 12 ქალთა აქტიური პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველყოფის ეროვნული მექანიზმები
- ნაწილი 4.
- 16 პოლიტიკური პარტიების პროგრამული დოკუმენტების გენდერული ანალიზი
- ნაწილი 5.
- 22 ქალთა დაბალი პოლიტიკური აქტივობისა და პოლიტიკურ პარტიებში ლიდერის პოზიციებზე არსებული დისბალანსის მიზეზები
- ნაწილი 6.
- 33 პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა წინსვლის საკითხის მიმართ
- ნაწილი 7.
- 39 სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლებაში ქალთა წარმომადგენლობის ზრდის სტრატეგია
- 43 დასკვნა და რეკომენდაციები

კრებულში გამოხატული შეხედულებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს International Alert-ის შეხედულებებს

ნაწილი I

ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში პარტიული გენდერული ნიშნულების ზომები დახმარება

თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც საქართველომ, მოახდინა რა ადამიანის უფლებების კუთხით საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება, საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა, მათ შორის გენდერული თანასწორობა. ქალები სულ უფრო და უფრო იცავენ საკუთარ უფლებებს, მიიღონ მონაწილეობა მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში, რითაც იმსხვრევა მყარად ჩამოყალიბებული სტერეოტიპი: პოლიტიკა - მამაკაცებისათვის, ოჯახი, ბავშვები - ქალებისათვის. თუმცა ხელისუფლებისა და მმართველობის სფეროში ქალთა წილი უწინდებურად დაბალია და არ შეესაბამება მათ წილს მოსახლეობასა და სამუშაო ძალაში.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებმა გვიჩვენა, რომ პარლამენტში მოხვედრილი ქალების რაოდენობა გაცილებით მცირეა წინა არჩევნების შედეგებთან შედარებით. თუ შევადარებთ წინა სამი მოწვევის სადეპუტატო კორპუსის გენდერულ წარმომადგენლობას, ასეთ სურათს მივიღებთ: 1995 წლის პარლამენტში ქალებს ეჭირათ 10%, 1999 წელს - 8, 2004 წელს - 17. ამჟამად ეს მაჩვენებელი 6 პროცენტამდე შემცირდა. ეს უფლებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ სახეზეა ანტიგენდერული სტატისტიკა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალთა ელექტორატი 52 პროცენტს აღწევს, 139 დეპუტატიდან მხოლოდ 9 არის ქალი. აქედან ორი ახლახან გახდა დეპუტატი, მმართველი პარტიის სიაში მომხდარი როტაციის შედეგად.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში 18 მინისტრიდან ერთადერთი ქალია - სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოადგილეების დონეზე ქალები ყველა სამინისტროში არიან წარმოდგენილნი. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანიც ქალია.

პოლიტიკური პარტიები საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ისინი არიან ძირითადი სუბიექტები საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესებისა. მათი საქმიანობა და პროგრამული დოკუმენტები გვაძლევს შესაძლებლობას, ვიმსჯელოთ რეფორმების გატარებაზე სხვადასხვა სფეროში, მათ შორის გენდერულ სისტემაში. განვითარებული ევროპული სახელმწიფოების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქალთა პოლიტიკური ლიდერობის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პოლიტიკური პარტიები. სწორედ ისინი, გააქტიურებული ქალების - პარტიის წევრების, ზენოლით, ქალების მიერ ჩამოყალიბებულ პროგრამულ მოთხოვნებს საკუთარ მანიფესტებში რთავენ და მათ პარტიის ოფიციალურ პოლიტიკად აქცევენ. ისინი იღებენ გარანტიების გარკვეულ სისტემებს ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის პრინციპის გატარებასთან დაკავშირებით.¹

სამწუხაროდ, დღესდღეობით საქართველოში არ შეინიშნება პოლიტიკური პარტიების სწრაფვა პარტიის სტრუქტურებში ხელმძღვანელ როლებზე ქალთა დიდი რაოდენობის წამოწევისა და გადამწყვეტილების მიღებისას გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით.

საგულისხმოა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოქმედი დაახლოებით 180 პარტიიდან² მხოლოდ ოთხს ხელმძღვანელობს ქალი.³ პრაქტი-

1 „Гендерная реконструкция политических систем“. Под ред. Н. Степановой и Е. Кочкиной., Спб., Алетейя “Политика гендерного равенства в Скандинавских странах”, смотрите на <http://www.owl.ru/win/books/genderpolicy/stepanova2.htm>

2 “«The political landscape of Georgia – Political parties – achievements, challenges and prospects” (Политический ландшафт Грузии), Gia Nodia, Alvaro Pinto Scholtbach, Caucasus Institute for Peace, Democracy and Development, Netherlands Institute for Multiparty Democracy, The OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights. 2006. page 52

3 ნინო ბურჯანაძე („დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“) სალომე ზურაბიშვილი („საქართველოს გზა“), გუგული მალრაძე („ქალთა პარტია“), ირინე სარიშვილი („იმედი“). ეკა ბესელიამ ახლახან დატოვა ირაკლი ოქრუაშვილის პარტია („მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“) და შექმნა საზოგადოებრივი მოძრაობა.

კულად, შეუძლებელია, მიიღო ზუსტი ინფორმაცია, თუ რამდენი რეგისტრირებული წევრი ჰყავს პარტიას, როგორია ქალებისა და მამაკაცების წილი, როგორია მმართველობის ორგანოების გენდერული შემადგენლობა. იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც მოყვანილია წიგნში „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“, ქალთა წილი პარტიების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში 9 პროცენტს შეადგენს¹. პარტიის წევრი ქალები, ფაქტობრივად, მიმდინარე, ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებენ და იშვიათად ხვდებიან პარტიების ხელმძღვანელ პოსტებზე და მმართველობით ორგანოებში.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიები სულ უფრო და უფრო აღიარებენ საკუთარ რიგებში გენდერული ასიმეტრიის არსებობას, ზოგჯერ გამოდიან კიდევ გენდერული თანასწორობის მხარდაჭერით და ხაზს უსვამენ ქალებისათვის პირობების შექმნის საჭიროებას, მაგრამ საკუთარ პროგრამულ დოკუმენტებში ამ მიზნის მისაღწევად რეალურ და პრაქტიკულ ამოცანებს არ სახავენ.

უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში ყველა პოლიტიკური პარტიის პროპორციულ სიებში ქალებს 28 პროცენტი ეჭირათ. თორმეტი პოლიტიკური პარტიიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ წინასაარჩევნო მარათონში, პარტიული სიის პირველ ათეულში მხოლოდ ერთმა წარადგინა სამი ქალი, ერთმა - ორი, რვამ - თითო, ორი კი მხოლოდ მამაკაცებით გავიდა ფონს. აქედან არც ერთ პარტიას არ დაუთმია ქალი-კანდიდატისთვის პირველი ნომერი და მხოლოდ სამმა პარტიამ წარადგინა ქალები თავისი პარტიული სიის პირველ ხუთეულში (იხ. ცხრილი).

1 „საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“, 2006 წ., გვ. 173

პოლიტიკური პარტიების პარტიული სიების პირველ ათეულში ქალი-კანდიდატების რაოდენობა

1	მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“	1
2	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	1
3	„მემარჯვენე ალიანსი - თოფაძე - მრენველები“ („ერთობა“, ედპ)	0
4	„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	1
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსთვის“	1
6	პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“	0
7	„გაერთიანებული ოპოზიცია“ (ეროვნული კავშირი, მემარჯვენეები)	1
8	„სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატების ეროვნული პარტია“	1
9	პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი“	1
10	„გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები“	1
11	საარჩევნო ბლოკი „ტრადიციონალისტები, ჩვენი საქართველო და ქალთა კავშირი“	2
12	საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“	3

პარტიების მიერ მაჟორიტარული სისტემით ნომინირებული ქალების რაოდენობა ოდნავ მეტია პროპორციულთან შედარებით (იხ. ცხრილი ქვემოთ)

1	მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“	2
2	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	13
3	„მემარჯვენე ალიანსი - თოფაძე - მრენველები“ („ერთობა“, ედბ)	0
4	„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	11
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსთვის“	1
6	პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენტო კავშირი“	0
7	„გაერთიანებული ოპოზიცია“ (ეროვნული კავშირი, მემარჯვენეები)	4
8	„სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატების ეროვნული პარტია“	1
9	პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი“	5
10	„გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები“	6
11	საარჩევნო ბლოკი „ტრადიციონალისტები - ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“	10
12	საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“	4

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, წინა საპარლამენტო არჩევნებში თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის სიაში აშკარა გენდერული დისბალანსი შეინიშნება, განსაკუთრებით - ლიდერთა რიგებში.

2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პოლიტიკური პარტიების სიებიც არ გამოირჩეოდა გენდერული პარიტე-

ტით, რასაც შედეგად მოჰყვა ადგილობრივ ხელისუფლებაში ქალთა დაბალი რაოდენობა. 1743 გამარჯვებულიდან მხოლოდ 201-ია ქალი, რაც არჩეულთა საერთო რიცხვის 11,5 პროცენტს შეადგენს.

სახელისუფლებო ორგანოებში ქალთა ასეთ დაბალ წარმომადგენლობას გაერო ადამიანის უფლებების დარღვევას უკავშირებს, გამოდის რა მთავარი პრინციპიდან: ქალთა საყოველთაო მონაწილეობისა და მათი სახელისუფლებო უფლებებით აღჭურვის გარეშე შეუძლებელია, გამოინახოს მყარი გადაწყვეტილებები იმ საზოგადოებაში, რომელსაც სოციალური და ეკონომიკური სიძნელებები ემუქრება. არსებობს პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულება ქალთა მიმართ სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკასა და სახელმწიფოს სოციალური სტაბილურობის ხარისხს შორის. გადაწყვეტილებების მიღებისას ქალთა დაბალი წარმომადგენლობა იწვევს ქალთა საკითხების პოლიტიკურ მარგინალიზაციას და წარმოჩინდება უმუშევრობითა და სიღარიბით. ამას მოსდევს ქალთა ჯანმრთელობის გაუარესება და დემოგრაფიული კრიზისი, ძალადობა ქალთა მიმართ და სოციალური დაძაბულობის ზრდა საზოგადოებაში.

პოლიტიკური პარტიების გენდერული რეჟიმის, გენდერული თანასწორობის საკითხებში მათი მიდგომების ღრმა შესწავლის მიზნით და მწვავე გენდერული დისბალანსის მიზეზების გამოსავლენად, კულტურულ-ჰუმანიტარულმა ფონდმა „სოხუმმა“ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო განგაშის“ ფინანსური მხარდაჭერით, 2010 წლის თებერვალ-მარტში ჩაატარა კვლევა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში პოლიტიკური სპექტრისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს შორის. აღნიშნული კვლევა შემდგომში შეიძლება, გამოყენებულ იქნას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული ასიმეტრიის პრობლემისადმი საზოგადოებრივი ყურადღების მისაქცევად, პოლიტიკურ პარტიებზე ზემოქმედების მისაღწევად, რათა მათ ახალი მიდგომები შეიმუშაონ და გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკა დაწერონ პარტიული მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში.

ნაწილი II

კვლევის მიზნები და აპოჯინები, განსჯისთვის ვითარებების

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს პოლიტიკური პარტიების შიდა სტრუქტურების გენდერული მიდგომების შესწავლას და გენდერული კომპონენტების ანალიზს მათ პოლიტიკურ პროგრამებში. აგრეთვე, პარტიების მიმართ კონკრეტული წინადადებების შემუშავებას, რომელთა გამოყენებაც ხელს შეუწყობს გენდერული ბალანსის მიღწევას და გენდერული მიდგომების ეფექტურ დანერგვას პროგრამულ დოკუმენტებსა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში.

კვლევის მიზნების მისაღწევად შესწავლილ იქნა ინსტიტუციონალური და სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა ჩართვას პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩატარდა ძირითადი პოლიტიკური პარტიების პროგრამული დოკუმენტების გენდერული ანალიზი, შესწავლილ იქნა გენდერული მიდგომები პოლიტიკური პარტიების მუშაობაში.

გამოკვლევის ძირითად საგანს შეადგენდა შემდეგი საკითხები:

◀ პარტიის წევრთა დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკური ლიდერობისადმი და მათი მიდგომები ხელმძღვანელობაში ქალთა წინსვლის აუცილებლობის საკითხისადმი.

◀ გენდერული სხვაობანი პოლიტიკურ პარტიებში გადანაცვლების მიღების ხელმისაწვდომობაში და ამ სხვაობების წარმოქმნის მიზეზები.

◀ ქალთა აქტიურობის ფორმები და სტატუსი პოლიტიკურ პარტიებში.

◀ უფრო წარმატებული სტრატეგიები გენდერული უთანასწორობის შესამცირებლად პარტიებს შიგნით.

მოცემული კვლევის მიზნების შესაბამისად, ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლებმა ჩაატარეს გამოკითხვა პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს შორის. გამოკითხვა ჩატარდა თბილისში, ქუთაისში, სენაკში, ხობში, ბათუმსა და ოზურგეთში ფოკუს-ჯგუფ-

ფისა და ჩალრმავეებული ინდივიდუალური ინტერვიუს მეთოდით. რესპონდენტების საერთო რაოდენობა 72 იყო.

ფოკუს-ჯგუფის მეთოდით განხორციელებულ კვლევაში მონაწილეობდა 62 ადამიანი. მიზნობრივი ჯგუფები ჩამოყალიბდა რესპონდენტების ასაკობრივი და გენდერული სხვაობის, აგრეთვე, პარტიული კუთვნილების გათვალისწინებით. მთლიანობაში გამოკითხვა ჩატარდა შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

1. პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ქ. თბილისში (10 ადამიანი);
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლები (8 ადამიანი);
3. „სამართლიანი არჩევნების“ ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლები (10 ადამიანი);
4. ქ. სენაკის ადგილობრივი ხელისუფლების (საკრებულო, გამგეობა) წარმომადგენლები (10 ადამიანი);
5. ქ. ოზურგეთის ადგილობრივი ხელისუფლების (საკრებულო, გამგეობა) წარმომადგენლები (10 ადამიანი);
6. ქ. ხობის ადგილობრივი ხელისუფლების (საკრებულო, გამგეობა) წარმომადგენლები (14 ადამიანი).

ჩალრმავეებული ინდივიდუალური ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა 10 რესპონდენტი. რესპონდენტების საერთო რაოდენობიდან შვიდი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენდა (მათ შორის იყვნენ პარლამენტის წევრებიც), სამი კი - არასამთავრობო სექტორს.

ყველა ინტერვიუ განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული კითხვარის მიხედვით და ჩაინერა დიქტოფონზე. მონაწილეებთან განიხილებოდა ქალთა დაბალი რაოდენობის მიზეზები როგორც პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელ პოზიციებზე, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა დაბალი რაოდენობის მიზეზები; პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობა; სახელისუფლებო ეშელონებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისთვის აუცილებელი ზომები.

ინდივიდუალური ინტერვიუს ხანგრძლივობა ერთ საათს შეადგენდა, ფოკუს-ჯგუფისა - საათნახევრიდან ორ საათამდე.

იმ დოკუმენტებს შორის, რომელთა ანალიზიც განხორციელდა, იყო პოლიტიკური პარტიების წესდებები, პროგრამები და სტრატეგიები. აგრეთვე, საქართველოს სამართლებრივი აქტები გენდერული თანასწორობის სფეროში.

ნაწილი III

ქალთა აქტიური პოლიტიკური მონაწილეობის წილში წარმატებული პოლიტიკური შედეგების

გენდერული თანასწორობისა და მსოფლიოში ქალთა პოლიტიკური აქტივობის განვითარებისა და უზრუნველყოფის სფეროში საკანონმდებლო განვითარების პროცესში, როგორც წესი, შეინიშნება ორი ტიპის ინსტრუმენტი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების კუთხით. პირველი - გარკვეული პროცედურების შემუშავება, მიმართული სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის მიღწევაში წინააღმდეგობის დაძლევისკენ. მეორე - შესაბამისი (აფირმატიული) ზომების შემოღება, რაც ქალებს გარკვეულ შედეგებზე და უპირატესობას ანიჭებს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

პირველი ტიპი თავის გამოხატულებას პოულობს და ფართოდ არის გავრცელებული განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოში. ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულად ყველა ძირითად კანონში ჩადებული და განმტკიცებულია კანონის წინაშე თანასწორობა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, რელიგიისა და სქესის მიუხედავად. კანონებში თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების არსებობა მიაწინებს იმაზე, რომ სახელმწიფო, თუნდაც რიტორიკულ დონეზე, პოზიტიურად ეკიდება გენდერული თანასწორობის იდეას.

ძირითადი კანონი, რომლითაც გარანტირებულია სქესთა თანაბარუფლებიანობა, არის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-14 თავში წერია:

„ყველა ადამიანი დაბადებიდან თავისუფალია და თანასწორი კანონის წინაშე რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმომავლობის, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.“

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის მხრიდან გატარდა რიგი კონკრეტული მოქმედებები ინსტიტუციონალური და სამართლებრივი მექანიზმების შესაქმნელად, რომლებიც არა მხოლოდ სქესობრივი დისკრიმინაციის აკრძალვას, არამედ სქესობრივი ნიშნით განსაზღვრულ მხარდაჭერას უზრუნველყოფდა. კერძოდ, 2004 წელს საქართველოს პარლამენტთან შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო. ეს საბჭო იყო პირველი ინსტიტუციონალური მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობდა გენდერული თანასწორობის მიღწევას. საბჭო აერთიანებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებს გენდერულ საკითხებზე რეკომენდაციების შესამუშავებლად და მათ განსახილველად, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალთა ხმის სათანადოდ გათვალისწინება სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას ნაციონალურ და ადგილობრივ დონეზე. 2005 წელს საქართველოს მთავრობასთან შეიქმნა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისია. საპარლამენტო საბჭოსა და სამთავრობო კომისიის ერთობლივმა მუშა ჯგუფმა შეიმუშავა გენდერული თანასწორობის კონცეფცია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2006 წლის ივლისში.

კონცეფცია მიმართული იყო თანასწორი უფლებების დაცვისა და ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნისკენ. მასში აისახა გენდერული თანასწორობის პრინციპები ცხოვრების ყველა სფეროში, განისაზღვრა ჩარჩოები სქესობრივ საფუძველზე ყველა სახის დისკრიმინაციის პრევენციისა და აღკვეთისათვის, გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად.

2007 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა გენდერული პოლიტიკის განხორციელების გეგმა 2007-2009 წლებში. მოქმედების გეგმა ითვალისწინებდა გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ბაზის შექმნას, კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, გენდერული საკითხების პოპულარიზაციას და საზოგადოებრივი ინფორმირებულობის ამაღლებას, საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას. ამასთან ერთად, შეიქმნა უწყებათშორისი კომისია საქართველოში გენდერული პოლიტიკის შესამუშავებლად. მის უმთავრეს ფუნქციას წარ-

მოადგენდა სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინაცია და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი.

საერთაშორისო და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მოქმედების წყალობით, აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტისა და სტრუქტურის ძალისხმევით, 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. კანონში ჩადებულია კონკრეტული მექანიზმები და გარანტიები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად შრომის, ოჯახური ურთიერთობის, სოციალური დაცვისა და განათლების სფეროში, აგრეთვე ქალთა თანაბარი მონაწილეობის მისაღწევად მაღალ წარმომადგენლობით ორგანოებში. მე-11 (2) მუხლის თანახმად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სქესთა შორის თანაბარი უფლებები წარმომადგენლობით ორგანოებში ასარჩევად: „წარმომადგენლობით ორგანოებში არჩევის უფლების რეალიზებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანაბარი შესაძლებლობები სხვადასხვა სქესის წარმომადგენლების მონაწილეობისათვის“.

აღსანიშნავია, რომ კანონით გათვალისწინებული არ არის კონკრეტული ზომები, მიმართული გენდერული ურთიერთობის ფაქტობრივი თანაბარუფლებიანობის მისაღწევად. თუმცა, კანონი ავალებს საქართველოს პარლამენტს, შექმნას გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც, თავის მხრივ, მე-12 (3ვ) მუხლის თანახმად, პასუხს აგებს „გენდერული თანასწორობის მისაღწევად ცალკეული ღონისძიებების შემუშავებასა და დაგეგმვაზე, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებების რეალიზების მიზნით.“

ეროვნული კანონმდებლობის გარდა, საქართველოს მიერ რატიფიცირებული რიგი საერთაშორისო დოკუმენტებიც შესაძლებელს ხდის აფირმატიული ზომების (პოზიტიური დისკრიმინაცია) გამოყენებას ქალთა პოლიტიკური ლიდერობის მიღწევისა და გენდერული არათანაბარუფლებიანობის აღკვეთისათვის, განსაკუთრებით მმართველობის სფეროში. კერძოდ, „ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის“ (CEDAW) მე-4 (1) მუხლში (კონვენციას საქართველო 1994 წელს მიუერთდა) ნათქვამია: „მონაწილე ქვეყნის მიერ დროებითი სპეციალური ზომების

მიღება, რომელიც მიმართულია ქალებსა და მამაკაცებს შორის ფაქტიური თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად, არ ჩაითვლება, როგორც ეს კონვენციაშია განსაზღვრული, დისკრიმინაციულად; ...ეს ზომები უნდა გაუქმდეს, როდესაც მიზანი მიიღწევა“.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ თბილისში, 2010 წლის 28 აპრილს საერთაშორისო საქმეების ნაციონალ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე 11 პარტიამ¹, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ხელი მოაწერა მოქმედების გლობალურ გეგმას „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად“. ამრიგად, პოლიტიკურმა პარტიებმა ვალდებულება აიღეს, უზრუნველყონ ქართულ პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობითობის გაზრდა და ხელი შეუწყონ ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების განვითარებას.

მიუხედავად გენდერული ბალანსის დასაცავად არსებული ინსტიტუციონალური მექანიზმებისა და ქვეყნის ძირითად კანონებში ჩადებული ანტიდისკრიმინაციული პრინციპებისა, ასევე სახელმწიფოს მხრიდან გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დეკლარირებული მხარდაჭერისა, სახელისუფლებო ეშელონებში ქალებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. არსებული რეალიები გვკარნახობს გენდერული რეფორმების ჩატარების აუცილებლობას და უფრო ეფექტური მექანიზმების შექმნას წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა მოხვედრისათვის.

¹ გეგმას ხელი მოაწერეს შემდეგმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა: „ახალი მემარჯვენეები“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ეროვნული საბჭო“, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, „თოფაძე-მრეწველები“, „საქართველოს გზა“, საქართველოს დემოკრატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ და „ქართული დასი“.

ნაწილი IV

პოლიტიკური აკტიუიზის აკომპანული დოკუმენტაციის გენდერული ანალიზი

ბოლო დროს საქართველოში ყველაზე აქტიურ პოლიტიკურ სუბიექტებს პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ. შესაძლოა, პრეზიდენტის გადადგომისა და ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით გამართული მასშტაბური პოლიტიკური აქციების მიზეზით, პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი საქმიანობა შესამჩნევად გაააქტიურეს არა მარტო 2008 წლის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებზე, არამედ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მიმართაც.

დღეისთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, ისე მათი პროგრამული დოკუმენტები, რადგან სწორედ მათ საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ სხვადასხვა სფეროში, მათ შორის გენდერულ სისტემაში, სამომავლო რეფორმების ჩატარებაზე.

კვლევის პროცესში განხილული იქნა საქართველოს ათი პოლიტიკური პარტიის წესდება, პროგრამა და სტრატეგიული დოკუმენტი¹.

პარტიული დოკუმენტების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ათი პარტიიდან არც ერთს არა აქვს ნათლად ჩამოყალიბებული პოლიტიკა გენდერული თანასწორობის მისაღწევად და არ იყენებს გენდერულ მიდგომებს საკუთარ საქმიანობაში. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ პარტიები, უმეტესწილ, ბრმა გენდერული პოლიტიკით ხელმძღვანელობენ.

საინტერესოა, რომ თვით ე.წ. „ქალთა პარტიის“ პარტიულ დოკუმენტებშიც კი არ არის ჩადებული მექანიზმები სახელისუფ-

1 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქრისტიან-დემოკრატიული პარტია; რესპუბლიკური პარტია; ახალი მემარჯვენეები; ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები; ლეიბორისტული პარტია; ქალთა პარტია „სამართლიანობისა და თანასწორობისთვის“; კონსერვატიული პარტია; ჩვენი ქვეყანა; დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო

ლებო ეშელონებში ქალთა წინსვლისათვის. პარტიის წესდება მიზნად ისახავს ქალთა მონაწილეობის მხარდაჭერას დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისას, აგრეთვე ქალთა პოლიტიკური აქტიურობის ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვლევა-შესწავლას და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებას. საუბარია აგრეთვე ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე, ტრენინგების, სემინარებისა და კონფერენციების ჩატარებაზე.¹ აშკარაა, რომ დოკუმენტი, უმეტესწილად, ეყრდნობა ქალთა თანასწორობის განმტკიცების რიტორიკულ ხასიათს, რადგან მასში არ არის მოცემული კონკრეტული და რეალური მექანიზმები, რომლებიც გააძლიერებდა პოლიტიკოსი ქალების პოზიციებს და შექმნიდა თანაბარ შესაძლებლობებს ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო ბლოკის - რომელიც „ტრადიციონალისტებს“, „ჩვენს საქართველოს“ და „ქალთა პარტიას“ აერთიანებს - პროგრამაში ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი პოლიტიკურ სფეროში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მხარდაჭერაზე ან მათი სპეციფიკური პრობლემების მოგვარების ამოცანებზე. პროგრამა გვთავაზობს გარანტიების დანერგვას ორსული ქალებისთვის, სახელდობრ, შობადობის სტიმულირებას სპეციალური ფონდის მეშვეობით², ყურადღება ექცევა მრავალშვილიანი ოჯახების დაცვას. ბლოკის პროგრამის თანახმად, ქალები გვევლინებიან გენდერული პოლიტიკის ობიექტებად და არა სუბიექტებად. გენდერული პოლიტიკის გატარების გარკვეულ ამოცანებსა და კონკრეტულ ზომებს თავის საქმიანობაში ბლოკი მიზნად არ ისახავს.

აღსანიშნავია, რომ „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ ერთ-ერთია იმ მცირე რაოდენობის პარტიათაგან, რომელსაც ქალი ხელმძღვანელობს, მაგრამ ის გენდერული პოლიტიკის არც ერთ ასპექტს არ განიხილავს. მის წესდებაში და მოქმედების

1 ქალთა პარტიის „სამართლიანობისა და თანასწორობისათვის“ წესდება, პარტიის მიზნები, 2.4; 2.6; 2.7; 2.8 პუნქტები http://www.womenparty.ge/index.php?option=com_content&view=category&layout=blog&id=44&Itemid=86&lang=ka

2 საარჩევნო ბლოკი „ტრადიციონალისტები — ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“, 2008 წლის არჩევნების პროგრამა. განყოფილება — „ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა“. <http://cec.gov.ge/old/uploads/saparlamento2008/partiebis-programebi/N11.pdf>

გეგმაში არ არის არც ერთი სიტყვა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ქალებთან და მათ მხარდაჭერასთან.

ზოგიერთი პარტია ახსენებს ქალს, როგორც დედას და ხაზს უსვამს პოლიტიკის გატარების აუცილებლობას ოჯახის ინსტიტუტის დაცვისა და დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით. პარტია „ჩემი ქვეყანა“ აქცენტს აკეთებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე. ქრისტიან-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს კონკრეტულ ღონისძიებებს ბავშვებისა და ქალების სოციალური დაცვის კუთხით, ორსულობის დროს და მშობიარობის შემდეგ. პარტია გარკვეულ გარანტიებს სთავაზობს ორსულობის დროს, მშობიარობისა და ჩვილი ბავშვის მოვლის პირობებში. ამასთან, გათვალისწინებულია, როგორც ერთჯერადი ფინანსური დახმარება ბავშვის დაბადების შემდეგ, ასევე ყოველთვიური ფინანსური დახმარება მანამ, სანამ ბავშვი სასკოლო ასაკს არ მიაღწევს.¹ ლეიბორისტულ პარტიას თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ჩადებული აქვს ერთჯერადი შემწეობის გაცემა ოჯახის შექმნის და ბავშვის დაბადების შემთხვევაში.² ზემოთქმულიდან სრულიად აშკარაა, რომ გენდერული მიმართულების სპეციფიკური ასპექტის გაგება დადის ოჯახის დახმარების სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერების აუცილებლობის დონემდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ლეიბორისტული პარტია, სხვა პარტიებისაგან განსხვავებით, თავის წინასაარჩევნო პროგრამაში მტკიცე დამოკიდებულებას გამოხატავს „სახელისუფლებო სტრუქტურებში ქალის პროპორციული“ წარმომადგენლობის მიღწევის საკითხში. პარტია ვალდებულებას იღებს, გაატაროს „პრინციპული პოლიტიკა ოჯახში ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ“. ეს გვიჩვენებს, რომ ქალი განიხილება, როგორც დემოგრაფიული პოლიტიკის არა მხოლოდ ობიექტი, არამედ როგორც სუბიექტიც. თუმცა, მის პარტიულ დოკუმენტებში კვლავ არ ჩანს

1 „გიორგი თარგამაძე — ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“, 2008 წლის წინასაარჩევნო პროგრამა. განყოფილება „ცვლილებების დრო სოციალურ პოლიტიკაში“. <http://www.giorgitargamadze.ge/index.php?page=or>

2 „შალვა ნათელაშვილი — ლეიბორისტული პარტია“, 2008 წლის წინასაარჩევნო პროგრამა — „მეტეხის ვალდებულებები“, ვალდებულებები სოციალურ-ეკონომიკურ დარგებთან დაკავშირებით.

კონკრეტული ღონისძიებები თანაბარი წარმომადგენლობის მისაღწევად.

პარტია „ახალი მემარჯვენეები“, რომელიც არჩევნებში მონაწილეობდა ბლოკში „გაერთიანებულ ოპოზიციასა“ და „სახალხო საბჭოსთან“, თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ერთ პუნქტსაც არ უთმობს გენდერულ საკითხებსა და ქალთა სპეციფიკური პრობლემების მოგვარებას. თუმცა, საჭიროა აღინიშნოს, პარტიის ლიდერის, დავით გამყრელიძის საარჩევნო პროგრამაში, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, აღნიშნულია, რომ ქალთა და მამაკაცთა „რეალური თანასწორუფლებიანობა და თანაბარი შესაძლებლობები უნდა გახდეს საქართველოში დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარების სერიოზული რესურსი.“ პროგრამაში აღნიშნული პუნქტის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ პარტიას გააჩნია შეგნებული და ნათლად ჩამოყალიბებული ინტერესი გენდერული პოლიტიკის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში 63% და კონსტიტუციური უმრავლესობა მოიპოვა და დღესაც ქვეყნის პოლიტიკას განსაზღვრავს, თავისი პარტიის მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბებისას არავითარ ყურადღებას არ აქცევს გენდერული ასპექტების განხილვას.

თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამებში პარტია „ჩვენი საქართველო და თავისუფალი დემოკრატები“, „რესპუბლიკელები“ და „კონსერვატორები“ ასევე არ განიხილავენ გენდერული პოლიტიკის არც ერთ ასპექტს.

უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში მოყვანილი პარტიების საერთო რიცხვიდან ქალთა ფრთა აქვთ „ახალ მემარჯვენეებს“, ლეიბორისტებსა და ქრისტიან-დემოკრატებს.

„ახალ მემარჯვენეებში“ ქალთა კლუბი 2001 წელს შეიქმნა. საკუთარ რიგებში ის 4000-მდე წევრს ითვლის და, ფაქტობრივად, ქვეყნის ყველა რეგიონს მოიცავს. კლუბის მიზანს წარმოადგენს ელექტორატთან მუშაობა და აგიტაცია, ქალი პოლიტიკოსების

მომზადება და მათი მოზიდვა პოლიტიკურ პროცესებში, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე.¹

ლეიბორისტულ პარტიას საკუთარ სტრუქტურაში ჰყავს ქალთა საბჭო, რომელიც მუშაობს სოციალური ხასიათის საკითხებზე და ატარებს საქველმოქმედო აქციებს. თუმცა, პარტიის წარმომადგენელი ქალბატონის განცხადებით, „ჩატარებული ღონისძიებები იმდენად არამასშტაბური და მოკრძალებულია, რომ საზოგადოებამ მათზე არაფერი იცის“.²

ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაშიც არსებობს ქალთა ფრთა „ქრისტიან-დემოკრატი ქალების კავშირი“. ამ კავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქალთა უფლებების დაცვა და ტრენინგ-სემინარების ჩატარებაა. პარტიის ქალთა ორგანიზაცია ამზადებს და ატარებს სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებას და აქტიურად უჭერს მხარს ქალთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მიმართულ პროგრამებს.³

რესპუბლიკური პარტიის სტრუქტურაში ცალკე ქალთა ფრთა არ არსებობს, თუმცა იქ არის განყოფილება, რომელიც პასუხს აგებს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და მათი ინტერესების დაცვის სტრატეგიის შემუშავებაზე.

ქალთა აქტივობის ზრდის კუთხით პარტიების მიერ შემუშავებულ სტრატეგიაში გათვალისწინებულია მუშაობა მასმედიასთან, რომლის მიზანია საზოგადოებაში გენდერული პრობაგანდა, ქალთა ჩართვა შიდაპარტიულ სისტემაში გადანყვეტილებების მიღების პროცესში, აგრეთვე ქალების, როგორც ამომრჩევლების, გააქტიურება მათი ინტერესების წამოწევისა და სპეციფიკური პრობლემების გადანყვეტის გზით. აღნიშნული მიზნების მიღწევის საშუალებად პარტიებს მიაჩნიათ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამების განხორციელება, გენდერული სტატისტიკის მეთოდის გამოყენება, როგორც პარტიის პოლიტიკის გენდერულ-მგრძობელობითი ინდიკატორისა, დასავლეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა გენდერული პოლიტიკის დანერგვაში და მისი

1 ქალთა კლუბი, პარტია „ახალი მემარჯვენეები“, <http://www.nrp.ge/kalta%20klubi.php>

2 ინტერვიუ ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელთან

3 ინტერვიუ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთან

პოპულარიზაცია, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება და განვითარება.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს იგრძნობოდა კონსტრუქციული თანამშრომლობისა და დიალოგის სურვილი პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ინტერვიუში ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები აღნიშნავენ არასამთავრობო ორგანიზაციების როლს ქალთა პოლიტიკური აქტივობის ამღვლეხისა და სარჩევნო კამპანიის დროს პოტენციური ქალი-კანდიდატებისთვის მხარდაჭერის აღმოჩენის საქმეში. ეს მიუთითებს პოლიტიკურ სფეროში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შესამჩნევ ზრდაზე, ასევე არასამთავრობო სექტორის საქმიანობის გავლენაზე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე.

პოლიტიკური პარტიების პროგრამული დოკუმენტების შესწავლის განზოგადებისას შეიძლება აღინიშნოს, რომ რამდენიმე პარტიის გამოკლებით, უმრავლესობას არ გააჩნია პროგრამული კომპონენტი - მიმართული ქალთა ინტერესების დაცვის, მათი წინსვლისა და როლის გაძლიერებისაკენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქალთა სოციალური მდგომარეობა, როგორც წესი, განიხილება ოჯახის ინტერესების პრიზმაში, თვითონ ქალებს კი მინიჭებული აქვთ მხოლოდ რეპროდუქტიული ღირებულება. ანუ, პოლიტიკური პარტიების თვალში ქალები გამოდიან, როგორც სოციალური და გენდერული პოლიტიკის ობიექტები და არა სუბიექტები.

**ქართული სახელმწიფოს ავტორიტეტისა და პოლიტიკის
პრაქტიკულ ღირებულების ავტორიტეტზე გაცხადებული
დისკლამაციის მიზანშეწონიერება**

სახელისუფლებო ორგანოებში ქალთა დაბალი წარმომადგენლობის ფაქტის კონსტატირება მნიშვნელოვანია, მაგრამ საკმარისი არ არის. კვლევის ერთ-ერთი მთავარი საკითხი მდგომარეობდა პარტიებში, სახელისუფლებო ემულონებში და მთლიანად პოლიტიკაში ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობის მიზეზების გარკვევაში.

კვლევის პერიოდში გამოვლინდა სხვადასხვა ხასიათის, წყაროს და დროის წარმომავლობის ფაქტორების კომპლექსი, რომელიც წინააღმდეგობას უქმნის ქალთა პოლიტიკურ აქტივობას. მათ შორის მთავარი საკითხები კვლევის ამ თავში განიხილება.

1. საზოგადოების მასობრივ ცნობიერებაში ქალთა მიმართ არსებული კონსერვატიული-პატრიარქალური სტერეოტიპები

რესპონდენტების დიდმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ, მიუხედავად ჩვენი სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე მიმართულებისა, ტრადიციულ-პატრიარქალური დამოკიდებულება ქალების მიმართ, რომელშიც ის აისახება, როგორც დედა და ოჯახური კერიის მფარველი, ჯერ კიდევ ღრმად არის გამჯდარი საზოგადოების შეგნებაში.

დისკუსიის მსვლელობისას რესპონდენტ მამაკაცთა ნაწილი ხაზს უსვამდა, რომ „ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, ქალი ყოველთვის იყო დედა და კერიის მფარველი... მან უნდა შეინარჩუნოს მთავარი ღირებულება - დედობა!..“ ამის გარდა, აღნიშნული იყო, რომ რეალურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ გარკვეულ როლს ასრულებს ღრმა საფუძვლის მქონე ტრადიცია, როცა „ქალი გახლავთ - ოჯახის კერიის მფარველი, მამაკაცი კი - შემომტანი“.

გამოკითხულთა აზრით, პოლიტიკით ქალთა დაინტერესების დაბალ დონეს განსაზღვრავს ისიც, რომ მამაკაცები არ იწონებენ ქალების ინიციატივას, წინ წაიწიონ პოლიტიკური კარიერის კიბეზე. „მამაკაცებს მაინცდამაინც არ უყვართ და უჭირთ, გვერდით აღიქვან აქტიური, სერიოზული და ძლიერი ქალები.“ „ბევრ მამაკაცს არ სურს, ჰყავდეს პოლიტიკოსი მეუღლე“. საგულისხმოა, რომ ერთ-ერთმა რესპონდენტმა გულწრფელად აღიარა: „მე თვითონ ძალიან მომწონს, როდესაც ჩემი მეუღლე ოჯახში ტრიალებს... როცა ოჯახის დედა ძლიერია, მაშინ ოჯახიც ძლიერი გახლავთ“. ამით რესპონდენტმა ქალს ადგილი, ძირითადად, ოჯახში მიაკუთვნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც მამაკაცი, ისე ქალი რესპონდენტების აზრით, კანდიდატ მამაკაცებს საზოგადოებაში უფრო მეტი მხარდაჭერა აქვთ, რადგან არსებობს სტერეოტიპი, რომ „პოლიტიკაში მამაკაცი უფრო ძლიერია და ქვეყანას ძლიერი პოლიტიკოსი, ანუ მამაკაცი უნდა მართავდეს“. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთმა ქალმა წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა: „მამაკაცი უფრო ძლიერია. მას უფრო ძალუძს რთულ სიტუაციებში გადამწყვეტილებების მიღება... საზოგადოების შეგნებაში პოლიტიკა იმდენად რთულია, რომ მასთან გამკლავება ქალს მამაკაცის დონეზე არ შეუძლია... ამის გამო ქალებს ნაკლებად ენდობიან და არჩევენ მამაკაც კანდიდატებზე აჩერებენ...“ გამოითქვა ასეთი მოსაზრებაც: „ამომრჩეველი ფსონს ძლიერზე დებს, არა აქვს მნიშვნელობა, ის ქალი იქნება თუ კაცი... რადგან ძალასთან უფრო მეტად მამაკაცი ასოცირდება, არჩევანიც უფრო მასზე ჩერდება...“

ერთ-ერთ ფოკუს-ჯგუფში გამოკითხულ მამაკაცთა ნაწილმა გაახმოვანა მოსაზრება, რომ რალაც ზომით გამართლებულად მიაჩნიათ მამაკაცთა რიცხოვრივი უპირატესობა პოლიტიკაში, რადგან „მამაკაცებს მეტი პასუხისმგებლობა აქვთ... ჩვენს შეგნებაში ღრმად არის ფესვგადგმული მოსაზრება, რომ მამაკაცი, მისი სიძლიეროდან გამომდინარე, პირველი უნდა იყოს... ის ყოველთვის ფრონტის წინა ხაზზეა...“

2. არასახარბიელო სოციალურ-სამართლებრივი გარემო

ქალთა მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი პოლიტიკაში მოსვლის სურვილის მქონე ქალებისთვის სოციალური გარანტიებისა და მხარდაჭერის მექანიზმების არარსებობაა. ოჯახში ვალდებულებების არათანაბარი განაწილება, მომსახურების სფეროებისა და საბავშვო დაწესებულებების რაოდენობისა და დაფინანსების სიმცირიდან გამომდინარე, მუშაობისა და ოჯახური ვალდებულებების შეთავსების პრობლემა, განვითარებული სოციალური სისტემისა და დედებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის არარსებობა ხელს უშლის ქალებს, ჩაერთონ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რესპონდენტების უმრავლესობა იზიარებდა აზრს, რომ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როდესაც ქალი იძულებულია, საკუთარ თავზე იტვირთოს არა მხოლოდ ოჯახის მარჩენალის ტვირთი, არამედ პასუხისმგებლობაც აიღოს ოჯახურ კეთილდღეობასა და ბავშვებზე, მას, პრაქტიკულად, არ რჩება დრო პოლიტიკური აქტივობისათვის. ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა: „ქალს ოჯახში იმდენად ბევრი ფუნქცია ეკისრება, რომ გასაკვირი იქნება, მას აქტიური საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისათვის დრო დარჩეს...“ ხაზი გაესვა იმასაც, რომ, თუ „სხვა განვითარებულ და ეკონომიკურად სტაბილურ ქვეყნებში პოლიტიკა პროფესიაა და პოლიტიკოსის სამუშაო დრო „ნორმირებულია“, ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, აუცილებელი ხდება, პოლიტიკას მთელი დრო დაეთმოს, ეს კი ქალების არჩევანს არ არგებს“.

ასევე ყურადღება მიექცა რეალობას, რომელიც გვიჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქალს აქვს სურვილი, აქტიური როლი დაიკავოს პოლიტიკაში, მას მოუწევს არჩევანის გაკეთება ოჯახსა და პოლიტიკურ კარიერას შორის, რომელთა შეთავსება მეტად ძნელია: „თუ დავაკვირდებით, პოლიტიკაში წარმატებული ქალების უმრავლესობას ოჯახური პრობლემების ტვირთი არ აწევს... ისინი

გათხოვილები არ არიან, არ ჰყავთ ბავშვები... ხოლო როგორც კი ოჯახს შექმნიან, არჩევანის წინაშე დგებიან... როგორც წესი, ისინი წყვეტენ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას...“ გამოთქმული მოსაზრების საპირისპიროდ აღინიშნა, რომ „მთავარია სურვილი. პრაქტიკაში არცთუ იშვიათია მაგალითები, როდესაც მრავალშვილიანი დედები წარმატებით უთავსებენ ერთმანეთს ოჯახურ და პოლიტიკურ ცხოვრებას.“ თუმცა, უმრავლესობამ დაადასტურა, რომ ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს „ქმრის მხარდაჭერა და სურვილი, მისი მეუღლე აქტიურად იყოს ჩართული პოლიტიკაში.“

უყურადღებოდ არ დარჩენილა საკანონმდებლო აქტებსა და სოციალური პრაქტიკის რეალიებში „ორმაგი სტანდარტების“ საკითხი. გამოკითხულთა უმრავლესობა ხაზს უსვამდა, რომ საკანონმდებლო დონეზე არ არის პუნქტები, რომლებიც ხელს უშლის ქალის თანაბარ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში ან ზიანს აყენებს ქალთა უფლებებს მთლიანობაში. განხილვის პროცესში ხშირად ისმოდა, ერთი მხრივ, რომ „ქვეყნის კონსტიტუცია უზრუნველყოფს კანონის წინაშე ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობას,“ თუმცა, მეორე მხრივ, ბევრი რესპონდენტი აღიარებდა, რომ იურიდიული თანასწორობა ქალთა და მამაკაცთა უფლებების კუთხით ყოველთვის არ ემთხვევა შესაძლებლობათა თანასწორობას: „თანასწორობა კანონის წინაშე არ უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში ქალთა სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობას. აუცილებელია სოციალური პროგრამები ქალთა სოციალური დაცვისა და მხარდაჭერისათვის...“

განხილვის პროცესში გამოჩნდა დიდი ზღვარი, ერთი მხრივ, ოფიციალურ რიტორიკასა და, მეორე მხრივ, ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას შორის. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა ქალებმა ყურადღება მიაქციეს შრომის კოდექსის ზოგიერთ განსაზღვრებას, რომელიც, მათი აზრით, უფრო ამძიმებს ქალთა მდგომარეობას. „შრომის კოდექსმა, რომელმაც შეამცირა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, უმუშევარ დედებს მოუსპო შესაძლებლობა, ესარგებლათ ისეთი სოციალური და

სახელმწიფო პროგრამით, როგორცაა დახმარება ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, რამაც ქალები კაბალურ პირობებში ჩააყენა“.

ფაქტორად, რომელიც ამცირებს ქალების შესაძლებლობას, მოხვდნენ წარმომადგენლობით ორგანოებში, დასახელდა საარჩევნო კოდექსში შეტანილი შესწორება, მიღებული 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, რის შედეგადაც 150 სადეპუტატო მანდატი თანაბრად განაწილდა - 75 დეპუტატი პროპორციული სისტემით იქნა არჩეული, დანარჩენი 75 კი - მაჟორიტარულით. ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის აზრით, „პროპორციული სისტემით არჩეული მანდატების რაოდენობის შემცირებით 100-დან 75-მდე, ხელისუფლებამ კიდევ უფრო შეამცირა პარლამენტში ქალთა მოხვედრის ისედაც მცირე შესაძლებლობა... ქალებს არჩევნის მეტი შანსი პარტიული სიების მიხედვით აქვთ, ვიდრე მაჟორიტარული სისტემით, რომელიც უზარმაზარ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს“.

3. ფსიქოლოგიური ფაქტორები

ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ქალთა რაოდენობის შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მოგვევლინა ახალ პოლიტიკურ პირობებში თვითონ ქალთა არაადეკვატური მოქმედებები. ქალები არც ისე აქტიურად იცავენ საკუთარ უფლებას - მამაკაცებთან ერთად თანაბრად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მემკვიდრეობამ თავისი დალი დაასვა ქალთა პოლიტიკური აქტივობის დონეს. საბჭოეთში მათ, სისტემური კვოტების მეშვეობით, გარანტირებული ჰქონდათ გარკვეული პოლიტიკური სტატუსი. აღნიშნული კვოტების გაუქმების პირობებში ქალებმა ვერ შეძლეს, ესარგებლათ საკუთარი პოლიტიკური უფლებებით, მათ შორის თვითგამოხატვის უფლებით და ეწარმოებინათ არცთუ იოლი ბრძოლა საკუთარი პოლიტიკური უფლებების დასაცავად.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, „საბჭოთა კავშირში არსებობდა ფორმალური კვოტები, როცა ქალებმა იცოდნენ, რომ შეუძლიათ პოლიტიკაში მოსვლა, იმის მიუხედავად, პოლიტიკოსები არიან ისინი თუ არა. მათი წარმომადგენლობა სახელისუფლებო სტრუქტურებში ფორმალურ ხასიათს ატარებდა, სადაც უმრავლესობას მაინც მამაკაცები შეადგენდნენ... დღეს კი ქალი მეტად აქტიური და მამაკაცზე ბევრად ძლიერი უნდა იყოს, რათა დაამტკიცოს, რომ ღირსია, მამაკაცებთან ერთად იყოს პარლამენტში“.

რესპონდენტების დიდ უმრავლესობას მმართველ სტრუქტურებში სუსტი წარმომადგენლობის მიზეზად სწორედ ქალების დაბალი აქტივობა მიაჩნია. არაერთხელ აღინიშნა, რომ „ქალები თვითონ არ იჩენენ საჭირო აქტიურობას და სათანადოდ არ მისწრაფვიან პოლიტიკაში მოსასვლელად.“ ამის გარდა, რესპონდენტების ნაწილის აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამუხრუჭებს და აფერხებს ქალების აქტიურობას, არის დაბალი თვითშეფასება და პოლიტიკური გამოუცდელობა. ქალების უმრავლესობა მზად არ არის პოლიტიკური აქტივობისთვის. ქალებს უფრო დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ახასიათებთ, ვიდრე მამაკაცებს. აქედან გამომდინარე, ეშინიათ, რომ ვერ გაამართლონ იმედები, და ვერ იღებენ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის გადწყვეტილებას.

ერთ-ერთმა მონაწილემ ისიც კი აღინიშნა, რომ „არის მაგალითები, როცა ქალები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ამომრჩევლის იმედები და ვერ შეასრულეს დანაპირები, თვითონ მიდიან პოლიტიკური არენიდან... მაშინ, როდესაც მამაკაცს არც ისე ალელვებს, შეასრულა თუ არა ამომრჩევლებისთვის მიცემული დაპირება.“ რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ ქვეყნის რეგიონებში არასაკმარის გენდერულ განათლებას: „ქალები დიდ ქალაქებში უფრო აქტიურები არიან, მათ იქ უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ, ხელი მიუწვდებათ ინფორმაციაზე... ჩვენთან ბევრმა არც კი იცის ცნება „გენდერი“ და გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა...“

4. პოლიტიკაში „მკაცრი თამაშის წესები“ მოქმედებს

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც დისპროპორციულად მოქმედებს ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობაზე პოლიტიკურ პროცესებში, გამოკითხულებმა დაასახელეს დღევანდელ პოლიტიკურ გარემოში ქალებისთვის შექმნილი არახელსაყრელი პირობები, სახელდობრ, „მგლური კანონების არსებობა“ პოლიტიკურ წრეებში, სადაც ქალისთვის გაძლება მეტად ძნელია. ინდივიდუალურ ინტერვიუში ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა ქალბატონმა გაგვიზიარა თავისი გამოცდილება და დაკვირვება: „უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკური გზა ვარდებით არ არის მოფენილი, აქ „მგლური კანონი“ მოქმედებს... თუ ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ, ქალები, ვგრძნობთ გარკვეულ დაფასებას და პატივისცემას მამაკაცების მხრიდან, პოლიტიკაში ამას ვერ შეხვდები... იქ არ არსებობს ცნება ქალი და მამაკაცი... იქ „მგლური კანონი“ ბატონობს, ე.ი. იმარჯვებს ის, ვინც ძლიერია... პოლიტიკაში არავინ არავის არაფერს უთმობს!“

მსგავსი მოსაზრება გამოთქვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმაც: „პოლიტიკაში მკაცრი კანონები მოქმედებს, ზოგჯერ ისეთ მეთოდებს უნდა მიმართო, რომლებიც ქალებისთვის არცთუ მთლად მისაღებია. ქალებსაც უჭირთ იტვირთონ პასუხისმგებლობა და არ დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს, ანუ მიზნის მისაღწევად ყველაფერს ხელს არ აწერენ...“

რაც უნდა გასაკვირი იყოს, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის მხრიდან ასეთი გულახდილი განცხადება გაკეთდა: „პოლიტიკა სიცრუის ხელოვნებაა. მიზნის მისაღწევად, სამწუხაროდ, უნდა გეხერხებოდეს მტკიცე და სიმართლესმიმსგავსებული ტყუილი... უნდა ითქვას, რომ მამაკაცები გაცილებით უკეთ და თავდაჯერებულად ცრუობენ, ვიდრე ქალები...“

გამოკითხულ ქალთა ნაწილმა დაადასტურა ფაქტი, რომ „დიდ პოლიტიკაში მამაკაცი უყოყმანოდ ტყუის და არ თაკილობს ისეთ მეთოდებს, როგორცაა „შავი პიარი“, რაც დღევანდელი პოლიტიკის დამახასიათებელ ნიშნად გვევლინება... მამაკაცი დიდი პათოსით წა-

რუდგება ამომრჩეველს, რომელიც, თავის მხრივ, ვერაფერს ხედავს ცარიელი დაპირების უკან“.

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელმა ქალმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ „ქალი გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება წინასაარჩევნო დაპირებებს. ის ყოველთვის ხელმძღვანელობს პრინციპით— არ მოატყუოს ამომრჩეველი და არ შეპირდეს იმას, რისი ასრულებაც არ ძალუძს... სამწუხაროდ, ამომრჩეველს ურჩევნია, კარგად მიწოდებული სასურველი ტყუილი მოისმინოს...“

5. პოლიტიკური კამპანიის ჩასატარებლად ფინანსური რესურსების უქონლობა

კვლევის მიმდინარეობისას მონაწილეები მიუთითებდნენ ქალთა არასაკმარისად მტკიცე ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც ხელს უშლის მათ პოლიტიკაში დამკვიდრებაში. სწორედ ფინანსური უზრუნველყოფის დონე განსაზღვრავს კანდიდატის მხარდაჭერას ამომრჩევლის მხრიდან. რადგან, უმეტეს შემთხვევაში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ქალებს არ გააჩნიათ ფინანსური რესურსები, ამომრჩეველთა არჩევანი მათზე არ ჩერდება.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთან ინტერვიუში აღინიშნა, რომ „დღეს ამომრჩეველები გაცილებით უფრო განსწავლულები არიან და კარგად ესმით, თუ იმ ადამიანს დაუჭერენ მხარს, რომელსაც ფინანსური რესურსები აქვს, ანუ მეტი კავშირები და შესაძლებლობები, მისგან უფრო მეტს მიიღებენ, ვიდრე ჭკვიანი და სოციალურად ორიენტირებული, მაგრამ მცირე რესურსების ადამიანისგან... მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში დასაქმებული ქალების წილი საკმაოდ დიდია, რესურსების დაგროვება მამაკაცთა ხელში ხდება...“

დღევანდელი რეალიები მონშობენ, რომ ისტებლიშმენტისგან (დიდი საწარმოები, მსხვილი ბიზნესმენები, პოლიტიკური ელიტა) ქალები გაცილებით ნაკლებ მხარდაჭერას პოულობენ, ვიდრე მამაკაცები, რის შედეგადაც რესურსებზე ხელი უფრო მამაკაცებს

მიუწვდებათ. ფინანსურ წრეებში შეინიშნება მზადყოფნა, საქმიანი ურთიერთობები დამყარდეს მამაკაცებთან და არა ქალებთან.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ფოკუს-ჯგუფის განხილვებისას აღინიშნა: „თუ გსურს, წარმატებული იყო პოლიტიკაში, ფინანსები უნდა გქონდეს, ან გავლენიანი მფარველი მაინც გყავდეს“. თუმცა, აქვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ქალების უმრავლესობა იმასაც უსვამდა ხაზს, რომ ფინანსები არ არის წარმატების განმსაზღვრელი ერთადერთი ფაქტორი: „თუ არ გავაჩნია წარმატებული პოლიტიკოსისთვის საჭირო პროფესიონალიზმი და უნარი, შეუძლებელია ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვება“.

6. ქალები ქალებს ხმას არ აძლევენ

რესპონდენტების როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა ნაწილი თანხმდებოდა იმაში, რომ არჩევნების პროცესში ქალური სოლიდარობის საკითხის დაყენება მიზანშეწონილი არ არის, რადგან პოლიტიკაში ფსონი იდება ადამიანის არა სქესის, არამედ ღირსებისა და პროფესიონალიზმის მიხედვით. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „დღეს ქალები ფსონს მამაკაცებზე დებენ და, ვფიქრობ, სქესი აქ არაფერ შუაშია... რადგან თვალსაწიერზე არ ჩანან ისეთი ქალები, რომელთა მხარდაჭერის სურვილი შეიძლება გაგიჩნდეს... პოლიტიკაში მთავარი პროფესიონალიზმია, ბევრი ქალი კი ჯერ, უბრალოდ, არ არის მზად...“ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლისგან გამოითქვა მოსაზრება: „თუ საკითხი ასე დადგება, რომ ამომრჩეველების ქალთა ნაწილმა კანდიდატს ხმა იმიტომ უნდა მისცეს, რომ ის ქალია, მაშინ ასე გამოვა - ქალთა ელექტორატის ანუ 59 პროცენტის ხმები ქალების სასარგებლოდ წავა და გამარჯვების შანსები არათანაბარი იქნება...“

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების ნაწილი არ გამოირიცხავს ამომრჩეველი ქალების მხრიდან კანდიდატი ქალების მიმართ შურსა და ეჭვიანობას, რაც ქალთა მხარდაჭერის საკითხზე აისახება.

7. მასმედიის დაუინტერესებლობა გენდერული პრობლემატიკის გაშუქებით

თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანებს არ შეუძლიათ, აიცილონ მასმედიის გავლენა. ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები ასრულებენ როგორც საინფორმაციო, ასევე სოციალურ როლს - საზოგადოებას წარუდგენენ სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ქცევის მთელ კომპლექსს: ურთიერთობა, კარიერა, ურთიერთდამოკიდებულება ოჯახსა და სამსახურში. თანამედროვე საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მნიშვნელობის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ისინი ასრულებენ ერთ-ერთ მთავარ როლს გენდერული ცნობიერების ფორმირებაში, გენდერული ასიმეტრიის დაძლევის გზების გამოკვეთასა და ჰარმონიული საზოგადოების შექმნაში.

განხილვისას პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული ასიმეტრიის ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა გენდერული თანასწორობის პოპულარიზაციით მასმედიის დაუინტერესებლობა. გამოთქმული აზრების თანახმად, მასმედიაში გენდერული პრობლემების ასახვა მეტად სტიქიური ხასიათისაა და იშვიათად ადის ხარისხიანი ანალიზის დონეზე. „არავის მოუვა თავში, წეროს ქალთა პრობლემატიკაზე. ქალი პოლიტიკოსები ყურადღების ცენტრში მხოლოდ რაიმე სკანდალის შემთხვევაში ხვდებიან...“ ასევე აღინიშნა: „მედია უფრო იმისთვისაა განწყობილი, ქალთა ცხოვრება „ბულვარული პრესის მეთოდებით“ გააშუქოს. იშვიათად მოგვითხრობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართულ ქალებზე...“

გამოკითხვის პროცესში გამოვლინდა ისიც, რომ მასმედია ბოლომდე თავისუფალი არ არის გენდერული სტერეოტიპებისგან: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ქალებს მხოლოდ დედის დღეს ან 8 მარტს იხსენებენ. შოუ-ბიზნესში მყოფ ქალებზე ინფორმაციას კიდევ შეხვდები, პოლიტიკაში დასაქმებულებზე - იშვიათად“. უშუალოდ წინასაარჩევნო კამპანიის დროს მასმედიის როლზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ „უფრო შუქდება თვით არ-

ჩვენების თემა, მაგრამ უშუალოდ ქალების შესახებ ინფორმაციას ვერასოდეს შეხვდები.“

დისკუსიის დროს რეპონდენტებმა ხაზი გაუსვეს არასამთავრობო ორგანიზაციების როლს, რომლებიც კონკურსების გამოცხადებით, თოქ-შოუების ორგანიზებით, ფილმების შექმნით სტიმულს აძლევენ ჟურნალისტებს, წერონ იმ საკითხებზე, რომლებიც ქალებს ეხება. თუმცა, იქვე დანაწევრებით აღინიშნებოდა, რომ ცალკეული შემთხვევები ბევრს ვერაფერს შეცვლის, თუ არ შეიცვალა თვით მასმედიის პოლიტიკა გენდერული თემატიკის მიმართ.

პოლიტიკური პარტიების დაფუძნებისა და

სამსახურზე პოლიტიკურ

ქალთა წინსვლის საკითხის მიხედვით

ქალთა პოლიტიკური აქტიურობა ყოველთვის მიიჩნეოდა პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ენერგეტიკულ რესურსად. მეტი პასუხისმგებლობა, უშუალოება, სანდოობა, სამოქალაქო საზოგადოებასთან და საზოგადოებრივ ლიდერებთან კავშირები - ყოველივე ეს შეუცვლელ რესურსად აქცევს ქალს პოლიტიკური პარტიებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის მობილიზებისა და ორგანიზების საქმეში. თუმცა, უკანასკნელი წლების პოლიტიკური რეალიების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალების როლი პოლიტიკურ პარტიებში ინსტრუმენტის დონეზეა დაყვანილი, ანუ ისინი გვევლინებიან პარტიის პოლიტიკური მხარდაჭერის ამალგების საშუალებად და არა წამყვან, გადანყვეტილების მიმღებ ძალად.

კვლევის მონაწილეებთან ჩატარებულ განხილვაში, პოლიტიკურ პარტიებში ქალთა პოლიტიკური აქტიურობის მიდგომებისა და ურთიერთობების, პარტიულ სტრუქტურებში მათი როლისა და ფუნქციების, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობის საკითხების კვლევისას გამოვლინდა შემდეგი:

1. ქალთა როლი და ფუნქციები პოლიტიკურ პარტიებში

რესპონდენტ ქალთა ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენდა, სოლიდარული იყო იმაში, რომ „ქართული არჩევნების ფილოსოფია მდგომარეობს შემდეგში: ქალს აკისრებენ პასუხისმგებლობას მთელ წინასაარჩევნო პროცესზე, მამაკაცს კი - პირველობას!“ არაერთხელ აღინიშნა, რომ „წინასაარჩევნო მართონის დროს ქალები ასრულებენ მთელ

შავ, კულისებსმიღმა სამუშაოს. უფრო მეტიც, როდესაც საქმე უშუალოდ არჩევნებამდე მიდის, ქალებს ნიშნავენ საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებად ან წევრებად, რითაც დარტყმის ქვეშ აყენებენ არჩევნების შედეგების ფალსიფიცირების შემთხვევაში... მაგრამ პარტიული სიების პირველ ათეულში ქალები იშვიათად ხვდებიან...”

სინანულით აღინიშნა, რომ „ქალები პარტიაში დიასახლისის როლს ასრულებენ...” თუმცა, იმის თქმაც ღირს, რომ პარტიების წარმომადგენლები აღიარებდნენ ქალთა დამსახურებას და ამბობდნენ, რომ სავსებით შესაძლებელია მათთვის ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეების დაკისრება: „ქალები, როგორც ფუტკრები, არასდროს გაურბიან შრომას... წერა, ქალაქები, დოკუმენტები - ის სამუშაოა, რომელიც ყურადღების განსაკუთრებულ კონცენტრაციას მოითხოვს და რომელსაც ანდობენ ქალებს...”

საინტერესოა ისიც, რომ ოპოზიციური პარტიების ლიდერები და აქტივისტები პარტიებში ქალების არასაკმარის წარმომადგენლობას, ერთი მხრივ, ხსნიდნენ იმით, რომ ოპოზიცია ძლიერი წნეხის ქვეშაა, რასაც ქალი ძნელად ეგუება. თუმცა, მეორე მხრივ, დასახელდა ცალკეული მაგალითები, როდესაც ქალები, ზენოლის მიუხედავად, უკან არ იხევდნენ და ინარჩუნებდნენ პარტიისადმი ერთგულებას.

რესპონდენტების ნაწილი არ ეთანხმებოდა იმ ფორმულირებას, რომ პარტიაში ქალებს სათანადოდ არ აფასებენ და მხოლოდ „შავი სამუშაოს“ შემსრულებლებად მიიჩნევენ. ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად სქესისა, იმ სამუშაოთი არის დაკავებული, რომელიც მის შესაძლებლობებს შეესაბამება: „დღეს არავის აკვირვებს ქალი - პარტიის ლიდერი... თუ ქალს გააჩნია შესაბამისი თვისებები პარტიაში ამა თუ იმ პოზიციის, თუნდაც ლიდერის ადგილის დასაკავებლად, მისი როლის უგულებელყოფას არავინ შეეცდება... უფრო მეტიც, ნებისმიერი პარტია მოხარული იქნება, თუ ქალი შეძლებს პოლიტიკური ბრძოლის ამ მძიმე ტვირთის აღებას. გყავდეს ასეთი კადრები, ეს დიდი ფუფუნებაა. მერწმუნეთ, პარტიაში ნებისმიერი ადამიანი იმ ფუნქციას ასრულებს,

რომელიც მის შესაძლებლობებს შეესაბამება...“ თუმცა, არ გამოირიცხებოდა ისიც, რომ პარტიები არასაკმარისად უწყობენ ხელს მათ რიგებში ქალთა წინსვლასა და პროფესიულ ზრდას.

განხილვისას იყო ასეთი გამონათქვამებიც: „პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაითვალისწინონ ქალთა შესაძლებლობები, მდიდარი გამოცდილება და მისწრაფება... ქალებს ძალუძთ პოლიტიკის გაკეთილშობილება და გალამაზება ისევე, როგორც ოჯახურ ცხოვრებას ალამაზებენ. პარტია დაინტერესებული უნდა იყოს თავის რიგებში ასეთი კადრებით“.

2. ქალი-კანდიდატების მიმართ პარტიების მიერ არჩევნებში განუვლი დახმარება

იმაზე მსჯელობისას, თუ რა ტიპის დახმარებას უწევენ ქალკანდიდატებს არჩევნებზე, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ, „მიუხედავად სქესისა, თუ პარტიამ კანდიდატი წამოაყენა, მან ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მისი კანდიდატი გავიდეს...“ ბევრჯერ გაესვა ხაზი იმას, რომ „პოლიტიკაში ქალებს და მამაკაცებს ერთნაირი პირობები უნდა ჰქონდეთ და შეუძლებელია ისეთი სიტუაციის წარმოდგენა, როდესაც ქალთა მხარდასაჭერად უფრო მეტი კეთდება ან პირიქით... ეს არასწორია! მაღალი კონკურენციის დროს პირობები თანაბარი უნდა იყოს.“

ჩამოთვლილი იყო არჩევნებზე ქალი კანდიდატების მხარდაჭერის ტიპები: „საეთერო დროის დათმობა, სხვადასხვა წინასაარჩევნო ბუკლეტი და პლაკატი კანდიდატი ქალების გამოსახულებით.“ არც იმას უარყოფენ, რომ ქალთა სახეები ბანერებსა და პლაკატებზე გაცილებით იშვიათად ჩნდება, ვიდრე მამაკაცთა. ამის მიზეზად კი პოლიტიკაში მყოფ ქალთა სიმცირე იყო დასახელებული.

რამდენიმე რესპონდენტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „პარტია თავის კანდიდატზე ზუსტად იმდენს ხარჯავს, რამდენადაც აფასებს მოგების შანსს. რა თქმა უნდა, შესაძლებლობების გათვალისწინებით“.

მსჯელობისას შეეხნენ საკითხს - როგორ ქალებს წამოაყენებს პარტია არჩევნებზე, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ ისინი. მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, როგორც წესი, კრიტერიუმები საერთოა, როგორც ქალი, ისე მამაკაცი კანდიდატებისათვის. გამოვლინდა რამდენიმე კრიტერიუმი, რომელსაც გარკვეული დოზით ითვალისწინებენ პარტიის ხელმძღვანელების მიერ არჩევანის გაკეთებისას:

- ❖ პროფესიონალიზმი;
- ❖ ცნობადობა და ავტორიტეტულობა;
- ❖ სიმპათიითა და ნდობით მოსარგებლე ადამიანები;
- ❖ მუშაობის მდიდარი გამოცდილება;
- ❖ ადამიანთა მობილიზების და ხმათა დიდი რაოდენობის შეგროვების უნარი;

- ❖ საზოგადოების მიერ მისი მიღების ხარისხი;
- ❖ ბრძოლისუნარიანობა;
- ❖ ჭკუა-გონება;
- ❖ კარგი განათლება;
- ❖ ორატორული უნარ-ჩვევები;
- ❖ აქტიურობა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერ უყურადღებოდ დარჩა ისეთი კრიტერიუმი, როგორიცაა კანდიდატის ფინანსური რესურსები. მხოლოდ ერთი რესპონდენტი შეეხო ფინანსების საკითხს და ისიც ირიბად: „გავრცელებულია მოსაზრება, რომ პარტიის ხელმძღვანელობისთვის მთავარია კანდიდატის ფინანსური მდგომარეობა, რასაც არ ვეთანხმები... ერთ-ერთ ქალ-კანდიდატს გასულ არჩევნებზე ფინანსების გარდა მრავალი ღირსება გააჩნდა და სწორედ ამან ითამაშა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ მისი სახელი ჩვენი პარტიული სიის პირველ ადგილზე მოხვდა... არა მგონია, ჩვენს პარტიულ ხელმძღვანელობას მის მყარ ფინანსურ მდგომარეობაზე ეფიქრა, როდესაც სიაში შეჰყავდა...“

3. როგორ შეიცვლება პოლიტიკა მასში ქალთა რაოდენობის გაზრდით

ყველაზე გავრცელებული პასუხი კითხვაზე - როგორ შეიცვლება პოლიტიკა ქალთა რაოდენობის გაზრდით, იყო ის, რომ ქალების მოსვლით სახელმწიფო პოლიტიკა გახდება გაცილებით სუფთა, ადამიანური, კეთილი, შეიცვლება პოლიტიკური ატმოსფერო და მისაღები კანონების ხასიათი, მეტი ყურადღება მიექცევა სოციალური პრობლემების მოგვარებას.

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალებს აიგივებდა ისეთ სფეროებთან, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, სოცუზრუნველყოფა, კულტურა. რესპონდენტების აზრით, „ხელისუფლებაში ქალთა რაოდენობის გაზრდით პოლიტიკა გარდაიქმნება უფრო სოციალურად ორიენტირებულად... ყურადღება მიექცევა სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრას. ფინანსები მოხმარდება ყოფით, საარსებო, საზოგადოებისათვის საჭირობო პრობლემებს და არა სახელმწიფოს სამხედრო გაძლიერებას“.

ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის თქმით, „ქალების მოსვლით გაიზრდება საზოგადოების წინაშე ანგარიშგების ხარისხი, უფრო გეგმაზომიერად გაიხარჯება ბიუჯეტი“.

გამოითქვა აზრი იმის შესახებაც, რომ სახელმწიფო გახდება ნაკლებად აგრესიული და მილიტარიზებული. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კონფლიქტების გადაჭრის საკითხს, რაშიც ქალის როლი მეტად მნიშვნელოვანია. უყურადღებოდ არ დარჩენილა ისეთი საკითხიც, როგორიცაა ნაჩქარეობა, წინდაუხედაობა ზოგიერთი გადანყვეტილების მიღებისას დღევანდელ პოლიტიკაში. ერთ-ერთი რესპონდენტის მტკიცებით, „ქალისთვის დამახასიათებელია, აწონოს ყველა პლუსი და მინუსი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადანყვეტილება. ის უფრო ფრთხილი და განონასწორებულია, რაც სწორედაც რომ აკლია დღევანდელ პოლიტიკას“.

დისკუსიის მიმდინარეობისას, პოლიტიკაში ქალთა პოზიტიური როლის წინააღმდეგ საერთო აზრი არ გამოთქმულა, თუმცა იყო

სკეპტიკური მოსაზრებაც, რომ ქალთა დიდი რაოდენობის მოსვლით უკეთესობისკენ ბევრი არაფერი შეიცვლება. მაგალითად, ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელმაც გაიხსენა თავისი ლატვიური ვიზიტის გამოცდილება, განაცხადა: „ამ ქვეყნის გენდერულმა სიტუაციამ გაგვაოცა. ქალაქის მერი ქალი იყო, თითქმის ყველა ხელმძღვანელ პოსტზე ქალები მუშაობდნენ, მაგრამ მათ საქმიანობაში ისეთი, რაც ჩვენზე შთაბეჭდილებას მოახდენდა, ვერაფერი შევნიშნეთ... ისეთი გრძნობა გვქონდა, რომ ეს იყო ერთგვარი ექსპერიმენტი, რომელმაც ვერ გაამართლა!“

ნაწევრიანო სპონსორებო წესისუფლებო ქალთა წარმომადგენლობის ზღვის სტრატეგია

ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა დიდი რაოდენობის მოზიდვის სტრატეგიის განხილვისას, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების წინაშე დაისვა საკითხი - სახელისუფლებო სტრუქტურებში არსებული გენდერული დისბალანსი მიაჩნიათ თუ არა ისე დიდად, რომ, არსებული სიტუაციის დასაძლევად, შემოღებული იქნეს დროებითი ზომები, კვოტების სახით. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები ერთხმად აღიარებდნენ უზარმაზარ რიცხვობრივ სხვაობას წარმომადგენლობით პოლიტიკაში ქალებსა და მამაკაცებს შორის და აუცილებლად მიიჩნევდნენ გარკვეული ზომების განხორციელებას ქალთა აქტიური მონაწილეობის მიღწევის მიზნით. თუმცა აქვე, დიდი უმრავლესობა დაუშვებლად მიიჩნევდა კვოტების შემოღებას.

კვოტების შემოღების საწინააღმდეგო, ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულება გამოიხატებოდა ე.წ. „ხელოვნური“ მეთოდების მიუღებლობაში, რომელმაც პარლამენტში შეიძლება კარები გაუღოს უღირს კანდიდატებს: „მთავარია არა რაოდენობა, არამედ ხარისხი. ე.წ. „კრიტიკული მასა“ ძალად შეიძლება იქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც განსაზღვრული იდეის გარშემო არის გაერთიანებული და არა მაშინ, როდესაც ის ბრმად მისდევს და იმეორებს იმას, რასაც მამაკაცები ამბობენ.“ საჭიროა აღინიშნოს, რომ ამგვარ მსჯელობას საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირისდროინდელი კვოტირების გამოცდილება, როდესაც უმაღლეს საბჭოში ქალები კვოტის შესაბამისად ხვდებოდნენ. ამით საჭირო რაოდენობრივი შემადგენლობა კი იქმნებოდა, მაგრამ ის არ გამოიჩინებოდა პროფესიონალიზმითა და პოლიტიკური უნარ-ჩვევებით.

მეორე მხრივ, კვოტირების მოწინააღმდეგეებმა გაახმოვანეს ისეთი მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაზღვრული სოციალური სტატუსი პიროვნული

ღირსებითა და დამსახურებით უნდა იყოს მიღწეული და ბრძოლის პირობები თანაბარი უნდა იყოს. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, კვოტა რალაც დოზით დისკრიმინირებას უწევს და ლახავს იმ ქალების ღირსებას, რომლებიც თავიანთი პროფესიული თვისებების მეშვეობით გავიდოდნენ: „კვოტების შემოღების შემთხვევაში ქალები ხელისუფლებაში მოხვდებიან არა იმიტომ, რომ სინამდვილეში ჭკვიანები, ძლიერები, ღირსეულები არიან და არ ჩამორჩებიან მამაკაცებს, არამედ იმიტომ, რომ შეიქმნება კანონისმიერი ვალდებულება სიეში ქალების განსაზღვრული რაოდენობის შეყვანისა... ვფიქრობ, ეს ქალურ ღირსებას შელახავს“.

კვოტების შემოღების რამდენიმე მონაწილემდევემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კვოტებს შეუძლიათ, გამოიწვიონ ამომრჩევლის თავისუფალი არჩევანის შეზღუდვა: „როგორ შეიძლება წინასწარ განისაზღვროს, რამდენი ქალი უნდა მოხვდეს პარლამენტში? მაშინ რა საჭიროა არჩევნები? დაუშვათ, საზოგადოებამ ქალთა 80 პროცენტი აირჩია. ეს არ უნდა დაუშვა იმიტომ, რომ კანონი სხვას გაკარნახობს?“

მეორე მონაწილის ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ მიუღებელია არჩეული კანდიდატების გენდერული შემადგენლობის წინასწარი პროგნოზი, რადგან ეს ღირსეული კანდიდატების მიმართ უსამართლობა იქნება: „არ მესმის, ვის შეუძლია განსაზღვროს ქალთა საჭირო რაოდენობა - 30 თუ 50 პროცენტი? იქნებ ყოველი მესამე, ან მეხუთე, ან მეათე.... იქნებ ყოველი მეორეა სიაში შეყვანის ღირსი... და მათ ამაზე უარი უნდა ეთქვათ იმიტომ, რომ კანონი სხვას მოითხოვს?!“

კვოტირების ალტერნატივად რესპონდენტებმა რამდენიმე მოქმედება დაასახელეს. მონაწილეთა გარკვეული ნაწილის აზრით, ქალთა წინსვლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს **საზოგადოებასთან მუშაობა**, რამეთუ სწორედ საზოგადოება არ არის მზად, ხედავდეს პოლიტიკურ წრეებში უფრო მეტ ქალს. ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის თქმით, „მოთხოვნილება ქალ-პოლიტიკოსებზე საზოგადოებიდან უნდა მოდიოდეს, ანუ უნ-

და არსებობდეს „საზოგადოებრივი დაკვეთა“. სწორედ მაშინ იქნებიან პარტიები იძულებულნი, მოძებნონ და თავიანთ რიგებში მიიზიდონ რაც შეიძლება მეტი ჭკვიანი და ღირსეული ქალი“. მსგავსი მოსაზრება გამოთქვა სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთმა წარმომადგენელმაც: „კოტირების ნაცვლად საჭიროა პარტიული ლიდერებისა და ამომრჩევლების სავალდებულო სწავლება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი პარლამენტში მეტი ქალი.“

რესპონდენტების დიდი ნაწილი სახელისუფლებო ეშელონებში ქალთა დაბალ წარმომადგენლობაზე პასუხისმგებლობას თვით ქალებს აკისრებს. მრავალგზის აღინიშნა, რომ ქალები არასაკმარისად აქტიურები არიან. ამიტომაც სახელისუფლებო სტრუქტურებში გენდერული ბალანსის მიღწევის ყველაზე ეფექტურ ზომად **ქალებთან მუშაობა** დასახელდა: „უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ქალს პოლიტიკა არ იზიდავს, ის უცხოა მისი შინაგანი სამყაროსთვის... ცვლილებები უნდა მოხდეს თვით ქალების შეგნებაში. საჭიროა მათი პოლიტიკური განვითარება, მოტივაციის ზრდა, რათა თვითონ „გაბედონ“ პოლიტიკაში წასვლა“.

პოლიტიკურ წრეებში არსებული გენდერული უთანასწორობა დაკავშირებულ იქნა ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზად მიჩნეულ იქნა **სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საგარეო საფრთხეების განეიტრალება**: „როდესაც ცხოვრების დონე ამაღლდება და მოქალაქეთა მდგომარეობა გაუმჯობესდება, განეიტრალდება ყველა საგარეო საფრთხე, საქართველოში არ იქნება პოლიტიკური პასიურობის პრობლემა. ქვეყნის წინსვლასა და გაძლიერებასთან ერთად გაიზრდება და გაძლიერდება ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში“.

გამოკითხულთა მეტად უმნიშვნელო ნაწილმა გამოხატა დადებითი დამოკიდებულება კვოტების შემოღებასთან დაკავშირებით: „აკვირდები სახელისუფლებო ეშელონებში ქალთა წარმომადგენლობის შემცირების დინამიკას და მიდიხარ დასკვნამდე, რომ გენდერული ბალანსის თუნდაც ნომინალურად უზრუნველყო-

ფისათვის აუცილებელია კვოტირების დანესება, ოღონდ, როგორც დროებითი ზომის...“

გაჟღერდა ასეთი მოსაზრებაც: „ჩვენი ხელისუფლება დიდ ხანია, მიუერთდა ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციას, რომელშიც ჩადებულია კვოტირების მექანიზმი დროებითი საშუალების სახით... ჩვენ რატომ არ მივმართავთ ამ დოკუმენტს? დღეს კვოტირების გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელია პოლიტიკაში ქალთა რაოდენობის ზრდა... მამაკაცი თავისით პირველობას არასდროს დათმობს“.

კითხვაზე, როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქალთა შემადგენლობა პოლიტიკური პარტიის სიაში - ყოველი მეორე, ქალები პირველ ხუთეულში, არანაკლებ 20-50 პროცენტისა ათეულში - უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა „30 პროცენტს ათეულში“. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ემხრობოდნენ ე.წ. „ელვის“ მეთოდს - ყოველი მეორე სიაში, ან ქალები პირველ ხუთეულში. თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ დღესდღეობით ამ მეთოდის განხორციელება არარეალურია.

საინტერესოა, რომ განხილვისას გამოითქვა მოსაზრება, როგორც ქალების, ისე მამაკაცების მხრიდან - თუ პარტიის 30 პროცენტს მაინც ქალები შეადგენენ, ასეთ შემთხვევაში პარტიაში გენდერის პრობლემა არ არსებობს და არ არის აუცილებლობა, გენდერულ პოლიტიკას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს.

დასკვნა და რეკომენდაციები

ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ქალების მონაწილეობა არჩევნებში და მათი წინსვლა სახელისუფლებო წარმომადგენლობით ორგანოებში, როგორც აუცილებელი შემადგენელი ნაწილი დემოკრატიული საზოგადოებისა, არ არის გამაგრებული არც სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პირობებით და არც მოსახლეობის მენტალიტეტით.

კვლევის პროცესში გამოვლინდა ქალთა სახელისუფლებო წინსვლის ხელისშემშლელი მიზეზების კომპლექსი, რომელიც, უმეტესწილად, საზოგადოების პოლიტიკურ მოუქმნიფებლობასა და სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების არასაკმარის დონეზე მიუთითებს, ვიდრე თვითონ ქალების სისუსტე. ქალთა უფლებების გაუცნობიერებლობა და გენდერული უთანასწორობა როგორც დეპუტატებში, ისე სახელმწიფო ჩინოვნიკებსა და პოლიტიკური პარტიების ლიდერთა უმრავლესობაში, პოლიტიკური გარემოს საერთო აგრესიულობა, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას არაკეთილსინდისიერი მეთოდების გამოყენება, კერძოდ, სიცრუისა და შავი პიარის ტექნოლოგიები, კიდევ უფრო უშლის ხელს ქალებს, ჩაერთონ პოლიტიკურ ბრძოლაში ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ადგილის დასამკვიდრებლად. იმ ქალებს, რომლებმაც პოლიტიკური ასპარეზი აირჩიეს, უნევთ მრავალი ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და კულტურული ბარიერის გადალახვა ხელისუფლების ადგილობრივ სტრუქტურებში და ქვეყნის პარლამენტში მოსახვედრად. არსებულ ბარიერებზე სისტემატური დაკვირვება და მათი გადალახვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება უნდა იყოს, როგორც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე პოლიტიკური პარტიებისა და მთლიანად მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა.

ქალთა პოლიტიკურ გზაზე აღმოჩენილი ბარიერების გადალახვისა და ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისათვის სხვადასხვა

სახელისუფლებო დონეზე, მოცემულ გამოკვლევაში შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისკენ.

რეკომენდაციები

საერთაშორისო ორგანიზაციებს:

- ❖ ხელი შეუწყონ ქალთა ქსელებისა და ორგანიზაციების განვითარებას როგორც რეგიონებში, ისე დედაქალაქში და გააფართონ საგრანტო მხარდაჭერა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისა, რომელთა მუშაობა მიმართულია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირებისაკენ;
- ❖ მხარი დაუჭირონ არასამთავრობო ორგანიზაციების საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც მიმართულია პოლიტიკურ-სამართლებრივი განათლების ასამაღლებლად და იმ საარჩევნო ტექნოლოგიების დაუფლებისაკენ, რომლებიც ქალი-ლიდერების მომზადებას ემსახურება;
- ❖ ხელი შეუწყონ საქართველოში საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პოლიტიკოსები და ქალთა ორგანიზაციებისა და მოძრაობების წარმომადგენლები, გენდერული ექსპერტები იმ ქვეყნებიდან, რომლებმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ქალთა სახელისუფლებო წინსვლის საქმეში.

სახელმწიფო სახელისუფლებო სტრუქტურებს:

- ❖ ორგანიზება გაუკეთონ გენდერული თანასწორობის მიღწევის ეროვნული გეგმის შესრულების საჯარო და რეგულარული ანგარიშგების პროცესს;
- ❖ შეიმუშაონ გენდერული სტატისტიკის პროგრამები ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ქალთა მონაწილეობის დინამიკაზე დასაკვირვებლად;
- ❖ შექმნან ნამახალისებელი სისტემა არადისკრიმინირებული პოლიტიკის მისაღწევად მთავრობის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციებისთვის, ორგანიზაციებში ქალთა რიცხვის ზრდისა და მათი პრესტიჟის ამაღლების მიზნით;
- ❖ მხარი დაუჭირონ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივებს, რათა სახელმწიფო მოსამსახურებმა მიიღონ განათლება გენდერული თანასწორობის კონცეფციისა და გენდერული მგრძობელობის ამაღლების კუთხით;
- ❖ შეიტანონ გენდერული მგრძობელობის საკითხები სახელმწიფო მოსამსახურეთა საატესტაციო კომისიის საკითხებში;
- ❖ დაიცვან გენდერული ბალანსი რეგიონალურ და საერთაშორისო ფორუმებზე სამთავრობო დელეგაციების ფორმირებისას;
- ❖ დანერგონ გენდერული კურსები სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემაში;
- ❖ ჩაატარონ ეროვნული და ადგილობრივი საინფორმაციო კამპანია არჩევნების დროს ქალთა მხარდასაჭერად.

პოლიტიკურ პარტიებს

- ❖ შეისწავლონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (ევროპული, განსაკუთრებით - სკანდინავიური და ზოგიერთი აფრიკული) პოლიტიკური პარტიების გამოცდილება კვოტირების სისტემით გენდერული თანასწორობის მიღწევის საქმეში;
- ❖ შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა, მიმართული შიდაპარტიული ცხოვრების დემოკრატიზაციისკენ - პარტიის წევრი ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიკუთვნებით, პარტიაში კვოტირების სისტემის დამკვიდრებით;
- ❖ განახორციელონ საგანმანათლებლო პროგრამები პარტიის წევრების მოსამზადებლად შემდეგ საკითხებში: საარჩევნო კამპანიის ჩატარების ტექნოლოგიების დაუფლება, ურთიერთდამოკიდებულება მასმედიასთან, პიარკამპანიის ჩატარება, ამომრჩევლებთან შეხვედრების მონყოფა, ფინანსური რესურსების მოზიდვა და ა.შ.
- ❖ უზრუნველყონ ქალთა მონაწილეობა ყველა შიდაპარტიულ ხელმძღვანელ სტრუქტურაში და კვოტების დანესებით ქალთა წამოყენება კანდიდატებად ასარჩევ და დასანიშნ თანამდებობებზე;
- ❖ შეიტანონ გენდერული საკითხები თავიანთი პარტიების პროგრამებსა და საარჩევნო პლატფორმებში;
- ❖ წაახალისონ შიდაპარტიული ქალთა სექციების შექმნა;
- ❖ შექმნან ქალი-ლიდერების საბაზო მონაცემები და შეადგინონ არჩევნებში მონაწილე ქალი-კანდიდატების სიები;
- ❖ გამოიყენონ პარტიული სახსრები ქალი-კანდიდატების პროპაგანდისათვის.

არასამთავრობო ორგანიზაციებს:

- ❖ განახორციელონ საგანმანათლებლო პროგრამები ლიდერი ქალების მოსამზადებლად გენდერის, ქალთა ლიდერობის, საარჩევნო კამპანიის ჩატარების ტექნოლოგიების, მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებზე. ჩაატარონ ფსიქოლოგიური ტრენინგები ქალთა თვითშეფასების ასამაღლებლად;
- ❖ ჩაატარონ ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევები საზოგადოების გენდერული უპირატესობის მიკუთვნების გამოსავლენად. წარმართონ აქტიური ახსნა-განმარტებითი მუშაობა ელექტორატთან გენდერული სტერეოტიპების დასაძლევად;
- ❖ შეისწავლონ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური პარტიების გამოცდილება პოზიტიური დისკრიმინაციის მეთოდით გენდერული ბალანსის მიღწევის საქმეში და მოახდინონ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში არსებული ყველაზე თვალსაჩინო მაგალითების პოპულარიზება;
- ❖ გენდერული სტერეოტიპების დასაძლევად აამაღლონ საზოგადოების სხვადასხვა ფენების გენდერული განათლების დონე;
- ❖ აქტიურად ითანამშრომლონ პოლიტიკურ პარტიებთან. განახორციელონ ფართო საგანმანათლებლო პროგრამები და ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი შეხვედრები გენდერულ საკითხებზე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან;
- ❖ დაინერგოს დებატების პრაქტიკა საზოგადოებასა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის, სახელისუფლებო ეშელონებში გენდერული ბალანსის უზრუნველსაყოფად კვოტირების, როგორც დროებითი ზომის, მიზანდასახულობის თემაზე;

- ❖ შეიმუშაონ და განახორციელონ სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამები ჟურნალისტებისთვის, ქალი ლიდერების პიარ-მხარდაჭერის მიზნით და გენდერული სტერეოტიპების დასაძლევად.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს:

- ❖ ფართოდ გააშუქონ ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დოკუმენტების რეალიზების საკითხები, კერძოდ, გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა და კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;
- ❖ ხელი შეუწყონ საზოგადოებრივ ცნობიერებაში თანამედროვე ქალი-ლიდერის, როგორც ყველა პოლიტიკური და სოციალური პროცესის სრულუფლებიანი და აქტიური წევრის, ცივილიზებული სახის აქტიურ ჩამოყალიბებას. გააშუქონ ქალის როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ❖ ტელეკომპანიებისა და ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებების ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირონ და სტიმული მისცენ საკუთარი ჟურნალისტების პროფესიულ მომზადებას გენდერული თანასწორობის საკითხებში, აამაღლონ გამომცემლების, რედაქტორების, ჟურნალისტების გენდერული განათლების დონე.



გამოცემაზე მუშაობდნენ:

ალლა გამახარია (პროექტის დირექტორი)

მერი ბელაშვილი (პროექტის კოორდინატორი)

ლალი შინგელია (რედაქტორი)

ემბ კამკია (თარგმანი რუსულიდან)

ლია კოსტავა (დიზაინი)



მისამართი: ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. №6

ტელ.: (+995 31) 7 29 02

ფაქსი: (+995 31) 7 13 68

ელ. ფოსტა: woman@fundsokhumi.ge

ვებ-გვერდი: www.fundsokhumi.ge